პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი | № 188 (11192) | შაბათი, 16 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის სწორი გზა. — „პრავდის“ 15-VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).

სმოლენსკის ოლქს გადაეცა ლენინის ორდენი (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვი სმოლენსკში (1-ლი გვერდი).

მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი. — გეგმის გადამეტებით 100 ტონა ჩაისათვის. შეჯიბრება გაჩაღდა (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ი. სარაჯიშვილი. — მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და პარტიული ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).

თბილისი 1500 წლისაა. — მ. თვარაძე. — ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა რიტმულად მუშაობს. ვ. ქისტაური. — ჩვენო თბილისო. ი. კვირიკაძე. — ნაშრომი საქალაქო მეურნეობის ისტორიიდან (მე-2 გვერდი).

სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის (მე-2 გვერდი).

მშრომელთა წერილები რედაქციას. — კ. პაპელიშვილი. — ალგეთის მიწა ელის სარწყავ წყალს. ი. ორჯონიკიძე, ვ. გაბრიჭიძე. — საჭიროა პოლიტექნიკუმი [illegible] ტის ფილიალის დაარსება. ვ. ბელოქონი. — სიახლე პურის ცხობაში (მე-3 გვერდი).

ქ. ე. ვოროშილოვი ბელგიაში (მე-4 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის სწორი გზა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია, რომელიც მოწვეულია საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით, აგრძელებს. სესიის მოწვევის საკითხება გამოიწვია ეგზომარიტად განსაკუთრებულმა გარემოებებმა — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ამ პირდაპირმა აგრესიამ არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, რომელშიც საფრთხე შეუქმნა საყოველთაო მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

ამ ფართო საომარი კონფლიქტის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიულმა მოქმედებამ გამოიწვია არაბულ აღმოსავლეთში, საბჭოთა მთავრობამ აგრესიის დაწყებისთანავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში შეიტანა წინადადება ლიბანიდან და იორდანიიდან უცხოელთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, მაგრამ ამერიკისა და ინგლისის დიპლომატიის მანევრების შედეგად უშიშროების საბჭო პარალიზებული აღმოჩნდა.

მაშინ საბჭოთა კავშირმა მოითხოვა ეუნივაით სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაწილეობით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ასურფოთ ღონისძიებათა მისაღებად. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ჩაფუშეს ეთი თათბირის მოწვევა. ამავე დროს ძრელდება ამ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დაგროვება ახლო და შუა აღმოსავლეთში, რაც შეიძლება მხოლოდ აგრესიის გაფართოების მიზნებს ასახურებოდეს.

ამ პირობებში გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ალსხები მასგან მოელიან ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივი გაყვანის ქმედითს ღონისძიებებს. საკითხის მხოლოდ ასეთ გადაჭრას შეუძლია ბოლო მოუღოს საომარი კონფლიქტის გაფართოების საფრთხეს.

გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ თავის სიტყვაში ნათლად ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის პოზიცია. საბჭოთა მთავრობის დავალებით მან სესიის განსახილველად შეიტანა შემდეგი რეზოლუციის პროექტი:

„გენერალური ასამბლეა,

აღიარებს რა, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს სასწრაფო ღონისძიებანი ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში დაძაბულობის შესანელებლად საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის,

ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ლიბანისა და იორდანიის ტერიტორიიდან,

ანდობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გააძლიეროს ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფი იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფმა ლიბანში წარმოადგინა თავის მეორე მოხსენებაში, და მეთვალყურეთა ჯგუფი გაგზავნოს იორდანიაში ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანისადმი და ამ ქვეყნების საზღვრებზე დგომარეობისადმი მეთვალყურეობის მიზნით“.

საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს მთავარ ამოცანას, რომელიც ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დგას. სწორედ უცხოეთის ჯარების გადაუდებელ გაყვანას არაბული აღმოსავლეთიდან მოითხოვენ ამჟამად მშვიდობისმოყვარე ხალხები, რომლებიც ზრუნავენ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების პრობლემისადმი. ყოველგვარი ცდა — ასამბლეა ჩაფუშოროს მისი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სხვა რამედ, თუ არ მისწრაფებად ხელი შეუშალონ ახლო და შუა აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას.

მშვიდობისმოყვარე ძალების მძლავრი პროტესტის, და არაბთა ქვეყნების ხალხების ერთსულოვანი წინააღმდეგობის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული ძალები იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ საომარი მოქმედების გაფართოება ახლო და შუა აღმოსავლეთში. ახლა ისინი ყოველგვარ მანევრს მიმართავენ და იმედი აქვთ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ თავიანთ ავაზაკურ ზრახვებს.

ინტერვენტები მიმართავენ ყოველგვარ მონაჭორს და ცდილობენ თავიანთი აგრესია არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ სიკეთედაც კი დასახონ. მაგრამ ახლა ყველამ იცის, რომ იმპერიალისტთა ნამდვილი მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა ახლო და შუა აღმოსავლეთში. თუ მათი დანაშაულებრივი მოქმედება არ აღიკვეთა, თუ აგრესორებმა მოახერხეს ლიბანსა და იორდანიაში გამაგრება, მაშინ ისინი, უეჭველია, არ დასჯერდებიან ამ რაიონს — საფრთხე დაუყოვნებლივ შეიქმნება აღმოსავლეთის სხვა დამოუკიდებელი ხალხმწიფოებისთვისაც.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ თავიანთი ჯარები დატოვონ ლიბანსა და იორდანიაში. უფრო მეტიც, მათ სურთ „შეინარჩუნონ უფლება“ ასე მოახდინონ სხვა პატარა ქვეყნების ოკუპაცია. ეს პირდაპირ განაცხადა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რომელიც გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიაზე გამოვიდა. ყოველივე ეს ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა საფრთხეს შეიცავს საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის არაბთა ქვეყნების უცხოელთა მიერ ოკუპაცია.

ბ-ნმა ეიზენჰაუერმა თავის გამოსვლაში მრავალი სიტყვა მიუძღვნა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური განვითარების საკითხს. საგულისხმოა, რომ მისი სიტყვის ამ ნაწილს წინასწარვე ხმაურით უკეთებდა რეკლამას და ახლაც უკეთებს ამერიკის პრესა. უკანასკნელ დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ სურთ დახმარება გაუწიონ არაბთა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას. მერე რა, ეს კარგი საქმეა, და ასეთი წინადადება, უეჭველია, სათანადო განხილვის ღირსია. მაგრამ, საკითხავია, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზოგიერთი წრე რატომ ისწრაფვის გენერალური ასამბლეისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის უურადღება მოლად ეკონომიური დახმარების საკითხებს მიაყროს სწორედ ახლა? სავსებით ცხადია, რომ ეს კეთდება იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩამოაშორონ მთავარი საკითხის — ლიბანიდან და იორდანიიდან უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანის საკითხის გადაჭრას.

მშვიდობის საქმისათვის საშიში იქნებოდა, აგრესიულმა ძალებმა რომ მოახერხონ და ასეთი მანევრებით მიაძინონ ხალხთა სიფხიზლე. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობა უაღრესად მტკიცედ მოითხოვს, რომ სწორედ საკითხი ლიბანიდან და იორდანიიდან ამერიკისა და ინგლისის ჯარებს გაყვანის შესახებ გადაწყდეს დაუყოვნებლივ და უწინარეს ყოვლისა.

იაპონიის სოციალისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის მოსაბურო სუდუკის წერილზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „პრავდაში“, ნათქვამია:

„საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ ომი შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს, თუ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ყველა ადამიანი, რომლებიც მშვიდობას მოითხოვენ, მტკიცედ იბრძოლებენ იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა შეწყვიტონ აგრესია, თავიანთი ჯარები გაიყვანონ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონიდან და ხელი არ შეუშალონ ამ ქვეყნების ხალხებს დამოუკიდებლად გადაჭრან თავისი საშინაო საქმეები“.

იბრძვის რა აგრესიის აღკვეთისათვის, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს მხოლოდ ზრუნვით ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და მუდმივი მშვიდობის შენარჩუნებისა და იქ მოსახლე ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უზრუნველყოფისათვის. ჩვენი სახელმწიფო გულგრილი ვერ იქნება, რომ მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს წარმოიშვას ომის საფრთხის ხერხიზული კერა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონის მეზობელი ქვეყნები იძულებული არიან მიიღონ თავისი და საყოველთაო უშიშროების უზრუნველეყოფის ღონისძიებანი. ამ ქვეყნების ხალხებს მიაჩნიათ, რომ მზარდი დაძაბულობა ამ რაიონში შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს მხოლოდ უცხოელთა ჯარების გაყვანის შემდეგ.

ასეთია მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების მოსთხოვნა, რომლებიც იმედს იმაზე ამყარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია გადადგამს ამ გადაუდებელი ამოცანის გადაჭრის საჭირო ნაბიჯებს. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის მთავრობის წინადადებას, მოელიან, რომ გენერალური ასამბლეა დადებითად განიხილავს საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, რომელიც სახავს ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის სწორ გზას.

„პრავდის“ 15-VIII მოწინავე.

სმოლენსკის ოლქს გადაეცა ლენინის ორდენი

სმოლენსკი, 13 აგვისტო. (საკ. ფსი). დღეს სმოლენსკის ოლქის მშრომელებს დიდი, ბედნიერი დღე აქვთ: ოლქს გადაეცემა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ნაშუადღევს ოლქის დრამატულ თეატრში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის საზეიმო სხდომა. სხდომაში მონაწილეობენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავეები, რომელნიც ოლქის ყველა რაიონიდან ჩამოვიდნენ. შეკრებილნი ტაშის გრიალით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, საოლქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს, მრეწველობისა და მშენებლობის ნოვატორებს, რომელნიც პრეზიდიუმში გამოჩდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ სმოლენსკის ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, განსაკუთრებით სელის, ხორცისა და რძის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში მიღწეული წარმატებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, საოლქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს, მრეწველობისა და მშენებლობის ნოვატორებს, რომელნიც პრეზიდიუმში გამოჩდნენ.

ნაშუადღევს ოლქის დრამატულ თეატრში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის საზეიმო სხდომა. სხდომაში მონაწილეობენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავეები, რომელნიც ოლქის ყველა რაიონიდან ჩამოვიდნენ. შეკრებილნი ტაშის გრიალით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, საოლქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს, მრეწველობისა და მშენებლობის ნოვატორებს, რომელნიც პრეზიდიუმში გამოჩდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე კითხულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იმის შესახებ, რომ სმოლენსკის ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, განსაკუთრებით სელის, ხორცისა და რძის წარმოებისა და დამზადების გადიდებაში მიღწეული წარმატებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, საოლქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებულ ადამიანებს, მრეწველობისა და მშენებლობის ნოვატორებს, რომელნიც პრეზიდიუმში გამოჩდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა პ. ი. დორონინმა დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, ამასთან პირობა დადო, რომ სმოლენსკის ოლქის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ პარტიის ყოველ დავალებას.

შემდეგ გამოვიდნენ პოჩინოკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ი. ბიზუნოვი, რუდნის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ მერგოლური უ. ე. ხომენკო და სხვები.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი სმოლენსკში

სმოლენსკი, 14 აგვისტო. (საკ. ფსი). დღეს საბჭოების სახლის მცირე დარბაზში ჯილდოები გადაეცა ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკთა ჯგუფს მიღწეული წარმატებისათვის იმ მუშაობაში, რაც გასწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გასადიდებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ლენინის ორდენები და „ნამგალი და ეროს“ ოქროს მედლები გადასცა სოციალისტური შრომის გმირებს საბჭოთა მეურნეობა „სიჩოვკის“ მწველავს ვ. ი. ბაბოშკინას, გჟატსკის რაიონის რადიშჩევის სახელობის კოლმეურნეობის მწველავებს ლ. ი. ბაშმაკოვასა და პ. პ. სავუშკინას, ამავე არტელის თავმჯდომარეს ი. ა. დენისენკოვს, პარტიის გჟატსკის რაიკომის პირველ მდივანს ს. მ. ეგოროვს — სულ 11 კაცს.

ლენინის ორდენები მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ი. დორონინმა, სმოლენსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ტ. გნედოვმა, სმოლენსკის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის სელის განყოფილების გამგემ ზ. ნ. ბოროდიჩმა, რუდნის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ მერგოლურმა უ. ე. ხომენკომ და სხვებმა.

მუშაკთა ჯგუფს გადაეცა შრომის წითელი დროშის ორდენები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა დაჯილდოებულთ და შემდგომი წარმატებანი უსურვა შრომაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ი. დორონინმა. მან მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის და მოუწოდა დამსწრეთ იბრძოლონ ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამავე დღეს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტში შეხვდა პარტიის სმოლენსკის ოლქის რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს. ნ. ს. ხრუშჩოვმა მათ დაუსახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების დარგში. დიდი ყურადღება დაეთმო სიმინდის მოყვანას ოლქის მინდვრებში და მოწინავე გამოცდილების დანერგვას სოფლის მეურნეობაში.

შეხვედრაზე აგრეთვე იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ფედერაციის ბიუროს წევრი ვ. პ. მილარშიკოვი.

ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს გაემგზავრა. საბჭოების სახლთან და ქუჩებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილად მიესალმნენ ქალაქის მშრომელები.

* * *

14 აგვისტოს საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა. (საკ. ფსი).

მეტი რძე მოსახლეობისთვის

კომუნისტური პარტიის ღონისძიებებმა, რომლებიც განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ და განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, გამოავლინეს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ახალი, აურაცხელი ძალები. მხურვალედ გამოეხმაურნენ რა პარტიის მოწოდებას— უახლოეს წლებში დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, საქართველოს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფერმების მუშაკებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის და გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს.

უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა რძის წარმოება, რამაც შესაძლებელი გახადა გაუმჯობესებულიყო ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების მოსახლეობის მომარაგება რძითა და რძის პროდუქტებით. შარშან მოსახლეობამ სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საშუალებით შეიძინა რძე და მოუხდელი რძის პროდუქცია 2,4-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

მაგრამ რძითა და მოუხდელი რძის პროდუქციით მოსახლეობის მომარაგების საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანია. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული მოსახლეობის რძით მომარაგება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როცა მისი გაყიდვა მცირდება ერთნახევარჯერ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდთან შედარებით. მაგალითად, 1958 წლის მეორე კვარტალში თბილისში გაყიდულია 4.226 ტონა რძე და მოუხდელი რძის პროდუქცია, ხოლო ამავე წლის პირველ კვარტალში — 2.362 ტონა.

რძის მრეწველობის საწარმოები მოსახლეობისათვის მისაყიდად არ უშვებენ საკმაო რაოდენობის პროდუქტებს დაფასოებული სახით, ცოტას უშვებენ ხაჭოს ნაწარმს, მაწონს, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად აწარმოებენ რძის პროდუქტების გაყიდვას.

ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ცოტაა სპეციალიზებული მაღაზიები, სექციები, პავილიონები, ფარდულები, რომლებიც რძესა და რძის პროდუქტებს ჰყიდიან. საკმაო რაოდენობით არ იყიდება რძე სასკოლო ბუფეტებში, სასადილოებში, კაფეებში, საწარმოთა საამქროებში, არ არის ორგანიზებული რძისა და მოუხდელი რძის პროდუქტების შინ მიტანა. სავაჭრო ქსელი რძეს იღებს გვიან და ამიტომ არ არის უზრუნველყოფილი მისი გაყიდვა ღილის საათებში. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას მცირე ასაკის ბავშვთა რძით მომარაგების გაუმჯობესებას სარძევე სამზარეულოთა საშუალებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს მოსახლეობის რძით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი და მიიღეს გადაწყვეტილება ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ფართოვდება რძის გაყიდვის სავაჭრო ქსელი. 1958 წლის მიწურულამდე თბილისსა და რუსთავში გაიხსნება რძის გასაყიდი მთელი რიგი კაფე-საკონდიტროები და სპეციალიზებული მაღაზიები. მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ რძითა და რძის პროდუქტებით მოვაჭრე მაღაზიები უზრუნველყოფილ იქნენ სამაცივრო დანადგარებით. მოსახლეობისათვის რძის მიყიდვა დაიწყება არა უგვიანეს ღილის 7 საათისა. ეწყობა რძისა და რძის პროდუქტების დაფასოებული სახით შინ მიტანა. სავაჭრო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ რძისა და რძის პროდუქტების საკმაო რაოდენობით გაყიდვა სასკოლო ბუფეტებში, სასადილოებში, სამრეწველო საწარმოთა და სადგურების ბუფეტებში.

მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს რძის შემოტანა ქალაქის მოსახლეობის საჭიროებისათვის. ერთნახევარჯერ უფრო მეტად გადიდდება გეგმასთან შედარებით რძის შემოტანა თბილისსა და რუსთავში 1958 წლის მეორე ნახევარში, მკვეთრად გადიდდება რძის შემოტანა მომავალ წელს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დიდი ყურადღება ეთქვა რძის გადამამუშავებელი საწარმოების აღჭურვას უახლესი მოწყობილობით, ორთქლისა და სამაცივრო დანადგარებით, ყველის შესანახი ახალი სათავსოებისა და სეპარატორული განყოფილებების მშენებლობას. მთელ რიგ რაიონებში აშენდება რძის მისაღები და გადასამუშავებელი ახალი საწარმოები. თბილისის სარძევე კომბინატის სიმძლავრე აყვანილი იქნება 100 ტონა გადამუშავებულ რძემდე დღეღამეში, ხოლო რძისა და რძის მჟავა პროდუქციის გამოშვება ბოთლებით-50 ტონამდე დღეღამეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მოსახლეობის საჭიროებისათვის რძის შემოტანის გეგმის შესრულება. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დახმარება უნდა გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სარძევე ფერმებში რძის ფილტრაციის, გაცივებისა და ანალიზის ორგანიზაციის საქმეში, რათა მოსახლეობამ მიიღოს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია. (საქდესი).

მივცეთ საბჭოთა ადამიანებს მეტი მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი

★ ★

გეგმის გადამეტებით 100 ტონა ჩაისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები გამოეხმაურნენ აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვას საქართველოს სსრ მეჩაიეობის რაიონების კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი ჩაის ფოთლის მოსავლის გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შესახებ. რაიონში ახლა ყოველდღიურად ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. 14 აგვისტოსათვის მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 842 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. გუმათის ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა 6 აგვისტოსათვის რაიონში პირველმა შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება — 120 ტონის ნაცვლად ფაბრიკას ჩააბარეს 126 ტონა ნედლეული და ვალდებულება იკისრეს დამატებით კიდევ მოკრიფონ 40 ტონა ფოთოლი.

აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის პასუხად რაიონის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 100 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

შეჯიბრება გაჩაღდა

აბაშა. (საკ. კორ.). კარგი სანახავია სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ბ. ბაკურია) ჩაის პლანტაციები. აქაური კოლმეურნეები თავს დასტრიალებენ თვითეულ ბუჩქს. ამიტომ არის, რომ კარგად მოვლილ ბუჩქებზე სეზონის პირველი დღეებიდანვე განუწყვეტლივ ნახავთ საკრეფად შემოსულ ჩაის ფოთლებს. ძველი აბაშის კოლმეურნეებმა ვადამდე შეასრულეს ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა. აფხაზეთის მეჩაიეთა მიმართვის გაცნობის შემდეგ აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობა და ვალდებულება იკისრეს სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 25 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან მეჩაიეობის ბრიგადები და ცალეული კოლმეურნეები. მაგალითად, ლ. პერტენავას ბრიგადის წევრებმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 2.200 კილოგრამი ფოთოლი და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ კიდევ მოკრიფონ 13 ათასი კილოგრამი. ბრიგადის მოწინავე კოლმეურნემ, პარტიის აბაშის რაიკომის წევრმა ნათელა შეროზიამ გადაჭარბებით გაანაღდა ჩაის კრეფის დავალება და იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 1.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა აგრეთვე სოფელ ნოროის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. თელია). წინ მიდიან სოფელ გეზათის ი. ბ. სტალინის სახელობის და სამიქოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. მთლიანად აბაშის რაიონის კოლმეურნეობებს მოკრეფილი აქვთ 91 ათასი კილოგრამით იმაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

აბაშელმა მეჩაიეებმა აფხაზეთის მეჩაიეთა მოწოდების პასუხად ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და პირობა დადეს სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 70 ტონა ჩაის ფოთოლი.



ჩაის დატვირთვა ბათუმის ნავსადგურში ოდესის ჩაისგადამწოდ ქარხანაში გასაგზავნად. ფოტო გ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).



ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა რიტმულად მუშაობს

თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანა ამიერკავკასიაში ერთადერთი სპეციალიზებული საწარმოა. აქ ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა საწარმოებლად 40 სახელწოდების მეტად საჭირო ხელსაწყო მზადდება. ქართველ ხელსაწყოთმშენებელთა პროდუქციას ფართოდ იყენებენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპისა და აზიის 16 სხვადასხვა ქვეყანაში.

ქარხნის კოლექტივი აქტიურად ჩაება თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთმშენებლებმა გადაწყვიტეს თბილისის იუბილესათვის გამოუშვან მრავალი ახალი ხელსაწყო. რამდენიმე მათგანის დამზადება უკვე ათვისებულია. ერთერთი ასეთი ახალი ხელსაწყოა ბატომეტრი (ბატოსფეროს საზომი), რომლითაც ზღვის სხვადასხვა სიღრმიდან საანალიზოდ იღებენ წყლის ნიმუშებს და ამასთან წყლის ამოღების ადგილას ახდენენ ტემპერატურის გაზომვას. დამზადებულია აგრეთვე 150 ცალი თერმომეტრის ჩარჩო. მას იყენებენ წყლის უკიდურეს სიღრმეშიც კი ტემპერატურის დასადგენად. ქარხანაში აითვისეს აგრეთვე მზის სამუშაო სადღეღამისო რადიაციის საზომის, — პირანომეტრის საჩრდილებელი რგოლი.

ახლა ქარხანაში დაწყებულია მუშაობა სხვა სახელწოდების, თერმოელექტრული ბალანსომეტრის ასათვისებლად (ამ ხელსაწყოთი შეიძლება გავზომოთ მზის რადიაციის თბური ენერგიის ინტენსიურობა და საერთო თბური ბალანსის მოცულობა).

ქარხნის მიერ გამოშვებული იმუშავებენ სურმრიცხველია ნიტრიალა, რომელსაც იყენებენ მდინარეებში წყლის ნაკადის დინების სიჩქარის დასადგენად, გალვანომეტრი — თერმოელექტრული დენის გასაზომი ხელსაწყო წარმოდგენილია ბრიუსელის საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე.

უაღრესად რთულ და ზუსტ ხელსაწყოს წარმოადგენს პირანომეტრი, რომლის მიმღები 178 სხვადასხვა დეტალისაგან შედგება და სულ 0,3 გრამს იწონის. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ ძნელი ასათვისებელი იქნება ასეთი ხელსაწყოს აწყობის ტექნოლოგია, რა უაღრესი სიზუსტით მუშაობა მოეთხოვებათ ამ ხელსაწყოს მკეთებლებს.

თბილისური მარკის ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებზე თანდათან მზარდი რაოდენობით მოდის მოთხოვნები უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან. მოსულია თხოვნა ეგვიპტიდან თერმომეტრის ჩარჩოების, საზღვაო ბატომეტრის, მთელი რიგი სხვა ჰიდრომეტრიული ხელსაწყოების გაგზავნის შესახებ. ვიეტნამელები თხოულობენ აქტინომეტრებს, ალბედომეტრებს — დედამიწის პირიდან ანარეკლი მზის სხივების რადიაციის საზომს, გალვანომეტრებს. ანალოგიური მოთხოვნები მოდის ავსტრიიდან, ბრაზილიიდან, ჩინეთიდან, ავღანეთიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან და ა. შ.

შვიდი თვის გეგმა ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთმშენებლებმა 102,7 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

მ. თვარაძე.

ჩვენო თბილისო

ათასხუთასი წლისა ხარ,
იყავ დღეგრძელი მარადის —
სანამ დიოდეს მთებიდან
წყლები ივრის და არაგვის.
უფრო აყვავდი მხარგაშლით —
მტკვარი არ დაშრეს სანამდის,
სანამდის ხსოვნა იცოცხლებს
ბახტრიონის და მარაბდის.
ბევრჯერ გაგთელა ურდომა,
შამოგიმტვრია კარია,
არც ნირი შაიცვალე და
არც ქედი მაიხარია.
ახლა მშვიდობას დარაჯობ
და თან უნდები შენებას,
მშრომელთა ნაამაგარო,
მთელ საქართველოს მშვენებავ.
წალკოტად იქცეს შენს მკერდზე
ყველა გორი და ხეობა,
არასდროს არ დაგიკარგავს —
არც დაგეკარგოს მხნეობა,
მოგმრავლებოდეს უბეში
ლხინი, ქორწილი, ძეობა,
ოქტომბრის დროშა გფარავდეს,
გქონდეს მარადის მძლეობა,
ასი ათასჯერ გენახოს
ახალ-ახალი დღეობა.

ვანო ქისტაური.

თიანეთის რაიონი.

სტუდენტთა საჩუქარი დედაქალაქს

საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტთან არსებულმა სტუდენტთა კლუბის კინოჯგუფმა თბილისის 1500 წლისთავს მოუძღვნა მოკლე მეტრაჟიანი ფილმი „მეეზოვე“.

ფილმი შექმნეს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა გ. აჯიაშვილმა, კ. ხოტივარმა, ტ. გომელაურმა, ი. ჯაფარიძემ, ა. ეპიტაშვილმა, დ. მირზაშვილმა.

ფილმში როლებს ასრულებენ დედაქალაქის თეატრების ახალგაზრდა მსახიობები.

ეს დედაქალაქისადმი მიძღვნილი მეორე ფილმია, რომელიც კინომოყვარულმა სტუდენტებმა შექმნეს.

ნაშრომი საქალაქო მეურნეობის ისტორიიდან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა გ. მინდაძის ნარკვევი „მასალები ძველი თბილისის წყლით მომარაგების საკითხისათვის“. ნარკვევში თავმოყრილია მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი მნიშვნელოვანი მასალები.

ნაშრომის შეაავალი ნაწილი მკითხველს აცნობს თბილისის უძველესი ციხე-სიმაგრის ნარიყალას წყლით მომარაგების საკითხს. კერძოდ მოყვანილია წიგნის ავტორის მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი წყალსადენის თიხის მილებისა და ქართული დუღაბის შემადგენლობა, მიკროსკოპით გასინჯვის შედეგები და სავარაუდო წყალგამტარობა.

ავტორმა შეისწავლა სარწყავი არხი, რომლითაც დირსიჭალის მიდამოებიდან, კილომეტრნახევარი მანძილიდან ქალაქში შემოდიოდა წყალი, რომელსაც ბაღების მოსარწყავად იყენებდნენ.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე ძველი დიდუბის და გარეუბნის მეურნეობა და მტკვრიდან დიდუბის ბაღების მოსარწყავად გაყვანილი არხი. მოცემულია აღნიშნული არხის რუკაც. შრომაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ძველი თბილისის გოგირდის თბილ წყაროებსა და აბანოებს.

შრომას ნაკლოვანებებიც აქვს. მცირე ადგილი აქვს დათმობილი თბილისის წყლით მომარაგების თანამედროვე მდგომარეობას. ზოგან გვხვდება კორექტურული შეცდომებიც.

მიუხედავად ამისა, გ. მინდაძის შრომა „მასალები ძველი თბილისის წყლით მომარაგების საკითხისათვის“ კარგი საჩუქარია თბილისის 1500 წლისთავისათვის.

დოცენტი ი. კვირიკაძე.

გამოფენა, კონცერტი...

სოხუმი. (საკ. კორ.). ახლოვდება საქართველოს ყველა მშრომელის სასიხარულო დღესასწაული — ქალაქ თბილისის 1500 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურისა და ილუსტრაციების გამოფენა და ფოტომონტაჟი — „თბილისი საქართველოს სსრ დედაქალაქი“.

გამოფენა სამი განყოფილებისაგან შედგება: „თბილისი 1500 წლისაა“, „თბილისი მხატვრულ ლიტერატურაში“, „ისინი ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ თბილისში“. აქ წარმოდგენილია ისტორიული დოკუმენტები და მასალები, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები ქართველი, რუსი და აფხაზი მწერლებისა იუბილარი ქალაქის შესახებ.

* * *

ქალაქ სოხუმის კვების მრეწველობის მუშაკთა ვ. ი. ლენინის სახელობის კლუბის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი ემზადება თბილისის 1500 წლისთავისათვის.

კლუბის მოცეკვავეთა ანსამბლი აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის, საქართველოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა პირველი ფესტივალის ლაურეატის თ. დავითაიას მხატვრული ხელმძღვანელობით ამზადებს დიდ საკონცერტო პროგრამას ორ განყოფილებად.

სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის

საუბარი საქართველოს სსრ განათლების მინისტრ ამხ. ბ. ნ. ჯიბლაძესთან

რესპუბლიკის სკოლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. მიმდინარე წელს 4.211 დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლაში ისწავლის ასეულ ათასობით ბავშვი. ახალ სასწავლო წელს დიდდება მოსწავლეთა კონტინგენტი სკოლა-ინტერნატებში, აგრეთვე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. ახალი სკოლა-ინტერნატები გაიხსნება თბილისსა და ბათუმში, რესპუბლიკაში სულ იმუშავებს 12 სკოლა-ინტერნატი, რომლებშიც იმეცადინებს 2.600 ბავშვი. წელს პირველად მოუსხდება სასკოლო მერხებს რამდენიმე ათასი ბავშვი. თითქმის მთლიანად დამთავრდა სასკოლო ასაკის ბავშვთა, აგრეთვე იმ მოსწავლეთა აღრიცხვა, რომლებიც რაიმე მიზეზით წყვიტნენ სკოლიდან.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა კოლექტივები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. საქართველოში მშრომელთა უშუალო მონაწილეობით სულ შენდება 108 ახალი სკოლა. ამას გარდა, 30 სკოლას აშენებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დამთავრდა სკოლა-ინტერნატის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა ბეთანიაში, შენდება კიდევ 3 სკოლა-ინტერნატის ახალი სასწავლო კორპუსები, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასწავლო წლისათვის.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სკოლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დროზე გამოჰყო საჭირო საშენი მასალები, რამაც ხელი შეუწყო სარემონტო სამუშაოთა წარმატებით წარმოებას.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა სკოლების მომარაგება საჭირო ინვენტარითა და ავეჯით. დიდი სახსრები იხარჯება მიმდინარე წელს სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების შესავსებად ახალი მოწყობილობითა და ხელსაწყოებით. 2 მილიონ მანეთზე მეტი გამოიყო ლიტერატურის შესაძენად სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის და ახალი ბიბლიოთეკების მოსაწყობად.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისათვის. საჭიროა აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცეს ადრე გამოცემული სახელმძღვანელოების გამოყენებას. უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა არაქართულ სკოლების მოსწავლეთა მომარაგებისათვის სახელმძღვანელოებით, მათთვის სახელმძღვანელოები უნდა შემოვიტანოთ მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

გარკვეული მუშაობა განხორციელდა სკოლების სასწავლო პროგრამებით უზრუნველყოფისაკენ. უკვე გამოცემულია და ქართულ სკოლებს გაეგზავნა 11 სხვადასხვა სახელწოდების პროგრამა. სასწავლო წლის დაწყებამდე კიდევ გამოიცემა 12 პროგრამა. განათლების სამინისტრომ ადგილებზე გაგზავნა აგრეთვე სკოლის ჟურნალები, დღიურები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.

განათლების სამინისტრომ, აგრეთვე სახალხო განათლების განყოფილებებმა დიდი მუშაობა გაწიეს სახორციელოს სკოლების განმტკიცებისათვის კვალიფიციური კადრებით. პედაგოგებისათვის მოეწყო კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. რესპუბლიკის სკოლებში სამუშაოდ გაიგზავნა უმაღლესი სკოლების 500-ზე მეტი კურსდამთავრებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ამოცანა, ამაღლდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე სკოლებში, უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მჭიდრო კავშირი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან, ჩაენერგოს მოზარდობას შრომის სიყვარული. დიდი ყურადღება მიექცა ამ საკითხებს საკავშირო ალკკ XII ყრილობაზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის სკოლებში ამ მხრივ განხორციელდა გარკვეული მუშაობა. ბევრ სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები. თითქმის ყველა სოფლის სკოლას აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. მაგრამ მოსწავლეთა შრომითი დისციპლინის საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ფორმალურად ეკიდებიან მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საკითხებს. ამიტომ წელს საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პოლიტექნიკური სწავლების გაუმჯობესებას, იმას, რომ უფრო ფართოდ ეზიარონ ბავშვები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

რესპუბლიკის განათლების მუშაკებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული ამოცანები. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და პარტიული ორგანიზაციები

ი. სარაჯიშვილი,
საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენენ, ყველაზე მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციები არიან. მათი საშუალებით ხალხის მასები ფართო, აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალისტური სახელმწიფოს მართვაში, მთელ იმ გიგანტურ ორგანიზატორულ-საშეურნეო მუშაობაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წარმოებს.

საბჭოთა ორგანოების მუშაობა ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა დემოკრატიზმის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, ყოველივე იმის აღმოფხვრისათვის, რაც ხელს უშლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მოღვაწეობის ყოველმხრივ გაშლას. საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის არსი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ პარტია არჩევს და ანაწილებს საბჭოთა კადრებს, პოლიტიკურად აწრთობს და ზრდის მათ. პარტია იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა ორგანოების შინაარსსა და მიმართულებას. ბოლოს, პარტია საქმიან, პრაქტიკულ დახმარებას უწევს საბჭოებს, ამოწმებს მათს მუშაობას.

სკკპ XX ყრილობამ ბოლშევიკური მიუდგომლობით ამხილა სერიოზული ნაკლოვანებანი საბჭოების მოღვაწეობაში. „საჭიროა ბოლო მოეღოს საბჭოების მუშაობის ასეთ ნაკლოვანებებს, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საბჭოების XX ყრილობისადმი, — განმტკიცდეს მათი კავშირურთიერთობა ამომრჩეველებთან, ზუსტად დაცულ იქნას კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა დებულება. საბჭოების ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებს, ეს საკითხები სისტემატურად უნდა დაისვას სესიების განსახილველად“.

ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის მითითებებს, თბილისის პარტიული ორგანიზაციები განუწყვეტლივ სრულყოფენ და აუმჯობესებენ საბჭოთა ორგანოებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ამაღლებენ მათს როლს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. თბილისის საქალაქო კომიტეტმა და პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს საბჭოთა ორგანოების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, მასებთან მათი კავშირის გაფართოებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თბილისი მზარდი ქალაქია. ეს დიდ ამოცანებს აყენებს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წინაშე. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საქალაქო და რაიონული საბჭოები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სკოლების, საავადმყოფოების, სასადილოების, სავაჭრო საწარმოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების ქსელი. იზრდება ქალაქის ტრანსპორტი, შენდება ტრამვაისა და ტროლეიბუსის ახალი ხაზები, იზრდება ავტობუსების რაოდენობა, აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი.

კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება მშობლიური თბილისი თავისი 1500 წლისთავის იუბილეს დღისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ფართოდ აბამენ მოსახლეობას დედაქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში. ათეულ ათასობით თბილისელმა მიიღო მონაწილეობა ქუჩებისა და სკვერების კეთილმოწყობაში, მათს გამწვანებასა და გამშვენიერებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობა. მათ იკისრეს უახლოეს წლებში მწვანით დაამშვენონ დედაქალაქის ქუჩები და მოედნები, მისი ღირსშესანიშნავი ადგილები.

პარტიული კომიტეტები და საბჭოთა დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა მუშაკების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის უკეთ დაყენებისათვის, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ყოველი ღონისძიებით ავითარებენ საბჭოთა ორგანოების ინიციატივასა და აქტივობას, წარმართავენ მათს მუშაობას. საბჭოების მოღვაწეობის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე, პლენუმებსა და აქტივის კრებებზე. წელს, მაგალითად, განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიც არის: საქალაქო მეურნეობის განვითარება და ქალაქის კეთილმოწყობა, მშრომელთა წერილებსა და საჩივრებზე რეაგირება, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობს აღგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებას.

ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს საბჭოთა ორგანოებს და მუდმივ კომისიებს პარტიის ლენინის რაიკომი. უკანასკნელ ხანებში რაიკომის ბიუროს სხდომებზე ორჯერ გახილა საბჭოთა ორგანოების მუშაობა. საკითხები. ამ საკითხების განხილვისას რაიკომის წევრებმა, აგრეთვე ბიუროს სხდომაზე მოწვეულმა კომუნისტმა დეპუტატებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს, რომელთა საფუძველზე გამომქღაენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებები.

რაიკომის ბიუროს დადგენილებები განხილულ იქნა რაისაბჭოს აღმასკომის პარტიულ ორგანიზაციაში, ისინი გააცნეს დეპუტატებს და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს. გაჩაღდა ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა დადგენილებებით დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ყოველივე ამის შედეგად რაიონულმა საბჭომ და მისმა განყოფილებებმა საგრძნობლად გაუმჯობესეს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა და გაძლიერეს თავიანთი კავშირი მასებთან.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა მუდმივი კომისიების მუშაობა. ახლა ისინი უფრო მეტ ინიციატივასა და აქტივობას იჩენენ საბჭოების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. ღრმად სწავლობენ და რაიონული საბჭოს აღმასკომის წინაშე განსახილველად აყენებენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობა და გამწვანება, საავაჭრო დაწესებულებებში საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესება, ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება, მშრომელთა წერილების და საჩივრებისა დროულად განხილვა, საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოთა მიმდინარეობა და სხვ. მუდმივი კომისიების ინიციატივითა და ფართო აქტივის მონაწილეობით რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად დღემდე მომზადებულია 27 საკითხი. მუდმივი კომისიების დასკვნები და წინადადებები რაიონულ საბჭოს დაეხმარა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომქღაენებასა და გამოსწორებაში, განყოფილებების მუშაობის გაძლიერებაში.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. მოელმა რიგმა რაიონულმა საბჭოებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს მუდმივი კომისიების საქმიანობის გაუმჯობესება. შემოწმებით გამორკვეულია, რომ განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ გარეუბნის რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიები. მაგალითად, საგზაო მშენებლობის კომისიას, რომლის თავმჯდომარეა დეპუტატი გ. სალთხუცოშვილი, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სხდომაც კი არ მოუწვევია. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სოციალური უზრუნველყოფის კომისიაში (თავმჯდომარე ვ. როინიშვილი). ამ კომისიამ 1957 წლის აპრილში დაამტკიცა სამუშაო გეგმა და მთელი თავისი საქმიანობა ამით დამთავრა.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებენ, რომ პარტიის გარეუბნის რაიკომი ჯერ კიდევ სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს საბჭოთა ორგანოებს, რაიკომი ნაკლებად ზრუნავს მუდმივი კომისიების საქმიანობის გამოცოცხლებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა აპარატში მომუშავე ყველა კომუნისტი წარმატებით, კეთილსინდისიერად ასრულებდეს თავის მოვალეობას. მუდმივი კომისიების მუშაობა მხედველობიდან გამორჩა პარტიის კიროვის რაიკომსაც. სოციალური უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივ კომისიებს რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად აქამდე ერთი საკითხიც კი არ მოუმზადებიათ.

დიდი ნაკლოვანებანია გამოჩენილი ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობაში. აქ რეგულარულად არ იწვევენ რაიონული საბჭოს სესიებს. სესიების მუშაობაში დაბალია დეპუტატების აქტივობა. ცნობილია, რომ დეპუტატები მოვალენი არიან ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს. ორჯონიკიძის რაიონში კი შეიქმნა არასწორი პრაქტიკა, როცა დეპუტატები მოსახლეობას ანგარიშს აბარებენ მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე. აღსანიშნავია, რომ 47 დეპუტატი ორასიდან ერთხელაც არ შეხვედრია თავის ამომრჩევლებს, ანგარიშით არ გამოსულა მათ წინაშე.

ვერ ვიტყვით, რომ რაისაბჭოს აღმასკომი რეგულარულად არ იწვევდეს თავის სხდომებს. მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ჯერ კიდევ ყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულებას. ბევრი კარგი გადაწყვეტილება ქაღალდზე რჩება და პრაქტიკულად არ ხორციელდება. მაგალითად, შარშან ნოემბერში რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განიხილეს ვერის საკოლმეურნეო ბაზრის სანიტარული მდგომარეობის საკითხი. გამომქღაენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი. მაგრამ ამ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება რაისაბჭოს აღმასკომს არც კი მოუგონებია. მიმდინარე წლის ივნისში კვლავ განიხილეს ვერის საკოლმეურნეო ბაზრის საკითხი და ისევ ძველ ნაკლოვანებებზე მოუხდათ ლაპარაკი. მაგრამ აღმასკომის სხდომაზე სიტყვაც არ თქმულა იმაზე, თუ რატომ არ შესრულდა წინათ მიღებული გადაწყვეტილება.

მიღებულ დადგენილებათა შესრულების ცუდად დაყენებული შემოწმება იმას იწვევს, რომ დაბალია საბჭოთა მუშაკების პასუხისმგებლობა და აქტივობა. სწორედ პასუხისმგებლობის გრძნობის დაკარგვით და აქტივობის მოდუნებით არის გამოწვეული ის, რომ ხშირია მუდმივი კომისიების სხდომების ჩაშლა წვრთა გამოუცხადებლობის გამო. ზოგიერთ მუდმივ კომისიაში კი მთელ მუშაობას მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე ეწევა.

რაიონული საბჭოს აღმასკომში მშრომელთა ბევრი წერილი და განცხადება შემოდის. ამ წერილებსა და განცხადებებში ისინი აყენებენ საქმიან წინადადებებს საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, უკარნახებენ გზებსა და საშუალებებს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უკანასკნელ ხანს მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე რეაგირება რაიონული საბჭოს აღმასკომში უკეთ არის დაყენებული. მიუხედავად ამისა, ცალკეული მუშაკები ყოველთვის გულისხმიერად და ყურადღებით როდი ეკიდებიან მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს, აგვიანებენ პასუხის გაცემას. მაგალითად, მოქალაქე ი. კუზმინის განცხადებაზე კომუნალური განყოფილების მუშაკებმა სამი თვის შემდეგ გასცეს პასუხი. ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ასეთი მაგალითები ცოტა როდია, მაგრამ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა არ არის გაჩაღებული.

ეს ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო კვალიფიციურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევენ განყოფილებებს, ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას არ ეწევა რაიონული აქტივთან. ნაკლოვანებები გაცილებით ცოტა იქნებოდა, რაისაბჭოს აღმასკომი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანი რომ იყოს. პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და ბიუროს სხდომებზე არ განიხილავენ ცალკეულ განყოფილებათა საქმიანობის, მთხოვნელთა მიღების, შესრულების შემოწმების საკითხებს. პარტიულო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს პარტიულ ჯგუფებს.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციონამდვილად წარმოადგენდეს მტკიცე და საყრდენს საბჭოთა მუშაკების პოლიტიკური აღზრდისა და საბჭოთა ორგანოების მთელი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

პარტიული კომიტეტების ამოცანაა საქმიანად დაეხმარონ საბჭოთა ორგანოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფაში. ამ მიზნით პარტიის რაიკომებმა ბიუროს სხდომებსა ან პლენუმებზე სისტემატურად უნდა განიხილონ საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები, საბჭოთა აპარატის მუშაკებისათვის მოაწყონ სემინარები, კურსები საბჭოთა მშენებლობისა და აგროლობრივი საბჭოების მუშაობის პრაქტიკის საკითხებზე.

არის ფაქტები, როცა პარტიის ზოგიერთი რაიკომი ცდილობს შეცვალოს საბჭოთა ორგანოები, იმუშაოს მათ მაგივრად. ამგვარად პარტიის საქალაქო კომიტეტი იმისთვის იბრძვის, რომ გადაჭრით აღმოფხვრას ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

თბილისის პარტიული ორგანიზაციისა ყველა საჭირო ზომას იღებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში. მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება კომუნიზმის ასაგებად გამარჯვებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მშრომელთა ჩვენებები რედაქციას

ალგეთის მიწა ელის სარწყავ წყალს

ინჟინრის წინადადება

აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ფართობების ხელოვნური რწყვის მოწესრიგება. მაგრამ სიძნელეს წარმოადგენს ის, რომ მდინარეთა ჩამონადენი ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი არსებული ფართობების მოსარწყავად და საჭირო ხდება ამ მდინარეთა რეგულირება.

ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელია მდინარე ალგეთი, რომლის სახელიც მიკუთვნებული აქვს ნოყიერნიადაგიან თვალუწვდენ ალგეთის ველს. ამ ველზე ახლაც არის სარწყავი არხები, რომლებიც ალგეთის წყლით „იკვებებიან". არსებული არხებით შეიძლება მოირწყას 3 ათას ჰექტარამდე ფართობი, მაგრამ იმის გამო, რომ მდინარის რეჟიმი რეგულირებული არ არის, სარწყავი წყალი მცირეა, არხები სრული სიმძლავრით ვერ მუშაობენ, ირწყვება გაცილებით ნაკლები ფართობი. ალგეთის მარცხენა ნაპირი, სადაც განსაკუთრებით ნაყოფიერი და მოსავლიანი ფართობებია, სულაც მიტოვებულია ურწყავად. მარტო სოფლების კოდას და ბორბალოს ზონის მოურწყავი ფართობები 6.000 ჰექტარს შეადგენს. ნიადაგი აქ უაღრესად ნოყიერია, მაგრამ სარწყავი წყლის უქონლობის გამო მეურნეობის განვითარება, მოსავლის ბედი ყოველთვის დამოკიდებულია ამინდის ჭირვეულობაზე, წვიმის დროულად მოსვლა-არმოსვლაზე.

ეჭვი არ არის, ხელოვნური მორწყვა აქ დიდ შედეგს მოგვცემდა, ერთბაშად გაეუმჯობესებდა კოლმეურნეობათა ეკონომიკას, გაეუმჯობესებდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თბილისის მომარაგებას.

მდინარე ალგეთი წყალღარიბია. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია მისი ველის ქვემო ნაწილის ფართობების მორწყვა განხორციელდეს მდინარე ხრამიდან, ხოლო ალგეთის აუზის დანარჩენი ფართობები, რაც 7.900 ჰექტარზე მეტს შეადგენს, ირწყვებოდეს ალგეთია ჩამონადენით. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ განვახორციელებთ ალგეთის ჩამონადენის რეგულირებას. ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მდინარე ალგეთი წარმოადგენს ერთადერთ წყაროს, საიდანაც შეიძლება მივიღოთ სოღანლუღისა და წალასკურ-თელეთის თართობების სარწყავი წყლის მარაგი. რასაკვირველია, შეიძლება სოღანლუღისა და წალასკურ-თელეთის ფართობების მორწყვა მტკვრიდან დიდ სიმაღლეზე წყლის მექანიკური გადატუმბვით და შემდეგ ამ წყლის სარწყავ ქსელში გაშვებით, მაგრამ ეს ეკონომიკის თვალსაზრისით როდი იქნება უფრო ხელსაყრელი. დასახელებული ფართობების ამ წესით მექანიკური მორწყვა საგრძნობლად მეტი დაუჯდება სახელმწიფოს.

ამრიგად, თუ ვიანგარიშებთ, გამოირკვევა, რომ ალგეთის წყლის მარაგით შესაძლებელია 14 ათას ჰექტარამდე ფართობის მორწყვა, რაც წლიურად მოითხოვს დაახლოებით 70 მილიონ კუბმეტრ წყალს.

არის თუ არა მიზანშეწონილი და ხელსაყრელი, არის თუ არა შესაძლებელი, რომ წალასკურ-თელეთისა და სოღანლუღის ფართობები მდ. ალგეთის წყლით მოვრწყათ? დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ მდინარიდან წყლის დინების რეჟიმის შეუცვლელად შეიძლება მოვრწყათ დაახლოებით 2.100 ჰექტარი. ამავე დროს დაკვირვებებმა ისიც გვიჩვენა, რომ მდინარე ალგეთის საშუალო ყოველწლიური ჩამონადენი სოფ. ფარცხისის მიდამოებში შეადგენს დაახლოებით 90 მილიონ კუბმეტრ წყალს. მაშასადამე, ალგეთის ჰიდროლოგიური ხასიათი გვიჩვენებს, რომ მისი წყლის მარაგი (ყოველწლიური ჩამონადენი) სავსებით საკმარისი იქნება მთელი ამ 14 ათას ჰექტარამდე ფართობის მოსარწყავად.

1953 წელს ამ წერილის ავტორმა დაამუშავა მდ. ალგეთიდან დასახლებულ ფართობთა მორწყვის სქემა მდინარის ჩამონადენის რეგულირების გზით. ამ სქემის მიხედვით სოფ. ტბისის მახლობლად გათვალისწინებული იყო 13 მილიონი კუბმეტრის მოცულობის წყალსაცავის მოწყობა. წყალსაცავიდან უზრუნველყოფილი იქნებოდა მაგისტრალური არხის კვება, რომლითაც სარწყავი წყალი მიყვანილი იქნებოდა ბორბალო-კოდას ფართობებზე (6.000 ჰექტარი). მეორე არხის სათავის შერჩევა აღნიშნული სქემით გათვალისწინებულია მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირზე ასურეთის ხეგის შესართავს ქვემოთ. ეს არხი, რომლის სიგრძე 15 კილომეტრამდე იქნება, წყალს გაიყვანს კუმისის ტბის ტაფობში, სადაც შეიძლება 40 მილიონამდე კუბმეტრი წყლის დაგროვება.

კუმისის წყალსაცავიდან შეიძლება გავიყვანოთ არხი სოღანლუღის მიმართულებით. აქ საჭირო იქნება 800-დი მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრა და ამით უზრუნველვყოფთ სოღანლუღის ფართობების მორწყვას, ხოლო წყლის მექანიკური გადატუმბვით შეგვძლებთ წალასკურ-თელეთის ფართობების მორწყვასაც. ამით შეგქმნით თბილისის მახლობლად მებაღეობა - მებოსტნეობის განვითარების ახალ მძლავრ ბაზას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე ამ ღონისძიების განხორციელება, ე. ი. კუმისის ტაფობში წყალსაცავის მოწყობა, სოღანლუღისაკენ სარწყავი არხის გაყვანა და წალასკურ-თელეთის ფართობებისათვის მექანიკური სარწყავი სისტემის შექმნა შესაძლებელია ერთმეორისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ორივე ღონისძიების ერთდროულად განხორციელება სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ბევრად უფრო მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ. ყურადღებაა იქცევს ის გარემოება, რომ მდ. ალგეთის ჩამონადენის რეგულირება, კუმისის ტაფობში წყალსაცავის მოწყობა რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აშენებას არ მოითხოვს, მაშასადამე, დიდი კაპიტალდაბანდებაც საჭირო არ იქნება.

ამ სქემის მიხედვით და მთელი რიგი მონაცემების დასაზუსტებლად საქართველოს წყალპროექტის ინსტიტუტი 1954 წელს შეუდგა სათანადო კვლევითს მუშაობას, რათა დაწყებულიყო მდ. ალგეთის რეგულირების პროექტის შედგენა, მაგრამ ეს სამუშაოები მალე შეწყვიტეს და საქმე დავიწყებას მიეცა.

საჭიროა განახლდეს ეს მუშაობა, დაჩქარდეს მდ. ალგეთის ჩამონადენის რაციონალურად გამოყენების პროექტის შემუშავება. 14.000 ჰექტარი ნოყიერი მიწა ელის სარწყავ წყალს საკოლმეურნეო დოვლათის გასამრავლებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თბილისის მშრომელთა მომარაგების გასაუმჯობესებლად

კ. პაპელიშვილი,
ინჟინერი-ჰიდროტექნიკოსი.

საქართველო განთქმულია შესანიშნავი კურორტებით. ათასობით მუშა თუ კოლმეურნე, ინჟინერი თუ ექიმი, მეცნიერი თუ სტუდენტი შვებულებას ატარებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, რომლებიც მშრომელთა განკარგულებაშია. **სურათზე:** კურორტი სურამი. სანატორიუმ „სურამის" დამსვენებელთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჭიათურას უნდა ჰქონდეს ქუჩის სარწყავი მანქანები

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ძველი გამურული, მტვრიანი ჭიათურა. იქ, სადაც წინათ ჭუჭყიანი ქოხმახები იყო, ახლა მშვენიერი ქალაქი აშენდა.

ჭიათურაში დიდი ყურადღება ექცევა სისუფთავის დაცვას, მაგრამ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. სოფლებსა და მაღაროთა სამმართველოებში მიმავალი გზები ყველგან ჯერ კიდევ არ არის კეთილმოწყობილი. მანქანებს ქალაქში შემოაქვთ ჭუჭყი და ქარიან ამინდში აქ მტვერი დგება.

ქუჩებს თითქმის ყოველდღე ხელით რწყავენ, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. გარდა ამისა, ყველა ქუჩის მორწყვა როდია შესაძლებელი.

კარგი იქნება, რომ ჭიათურას სარწყავ მანქანებს მისცემდნენ. აქ ერთი მანქანაც საკმარისია, რომ ქუჩები ყოველდღე რეგულარულად სამ-ოთხჯერ ირწყვებოდეს. ეს დიდად შეუწყობს ხელს მარგანეცის ქალაქში სანიმუშო სისუფთავის დაცვას.

ამ „წვრილმანის" მოგვარება არც თუ ძნელი საქმეა.

ბ. ძინძიბაძე.

ქუჩა შესაკეთებელია

თბილისში, პეტრიაშვილის ჩიხში, მოთავსებულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სბავშვო ბაგა. აქვეა საცხოვრებელი სახლებიც. აღნიშნული ჩიხი ყოველად დაუშვებელ მდგომარეობაშია. ქუჩა საჭიროებს სერიოზულ შეკეთებას, დადაბლებას, მოასფალტებას და სხვა. მას არა აქვს წვიმის წყლის მიმღები ჭები და არხი. წვიმის დროს ნიაღვარი ვარდება სბავშვო ბაგაში, ანესტიენებს მის კედლებს და ზოგჯერ წალეკვასაც უქადის. ასეთსავე მდგომარეობაშია ცალკეული სახლებიც.

ქუჩის ორივე მხარეს დარჩენილია ღრმა თხრილები. რის გამო მიმოსვლის არე მეტად შევიწროებულია. ამიტომ ხშირია ავტომანქანების გზიდან გადავარდნის შემთხვევები. მაგალითად, მომდინარე წლის 12 ივნისს საბარგო ავტომანქანა გადავარდა № 6 სახლის თხრილში, ხოლო 15 ივნისს სბავშვო ბაგის თხრილში გადაიჩეხა ავტომანქანა „პობედა", რომელმაც მოანგრია ბაგის რკინის მოაჯირი და დააზიანა ბავშვების საძინებელი ვერანდა. საბედნიეროდ, ეს მოხდა კვირადღეს, როდესაც ბავშვები ბაგაში არ იყვნენ, თორემ შესაძლებელი იყო მსხვერპლიც.

ამ არანორმალური მდგომარეობის შესახებ ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს, მაგრამ ჩვენი არაერთგზის თხოვნა უბრალო დაპირებით დამთავრდა.

როდემდის გაგრძელდება ამ ქუჩისადმი უყურადღებობა?

ს. ჩიქოვანი,
სბავშვო ბაგის გამგე,
შ. გუნცაძე,
დ. ჩადუნელი,
კოხრეიძე,
დავითაშვილი,
პეტრიაშვილის ქუჩის მობინადრენი.

სიახლე პურის ცხოგაში

— მივაწოდოთ მომხმარებელს მაღალხარისხოვანი და სხვადასხვა ასორტიმენტის პური, — ასეთ მიზანს ისახავს თავის მუშაობაში რუსთავის პურკომბინატის კოლექტივი. ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელია, თუ პურის წარმოებაში სისტემატურად არ დაინერგა ახალი ტექნიკა, თუ არ განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

ამას წინათ პურის ქარხანაში დავდგით ახალი ორთქლის ქვაბი. ამან საშუალება მოგვცა გაგვეზარდა ხარისხოვანი პურის გამოცხობა. იმის შედეგად, რომ ახლა რეგულარულად და საჭირო რაოდენობით ხდება ორთქლის მიწოდება პურის საცხობ ღუმელებში, გაუმჯობესდა პურის ხარისხი და 1 პროცენტით შემცირდა დანაკარგები. ამ ღონისძიების განხორციელებით მიღებულია 295.000 მანეთი ეკონომია.

საფუარის ხარშვისათვის დავამონტაჟეთ ხარში მანქანა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა და დააჩქარა საფუარის ხარშვის პროცესი, ამასთან ხელი შეუწყო სხვადასხვა ხარისხის ფქვილისაგან საფუარის ერთდროულად გამოშვებას. ამავე ღონისძიების შედეგად ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლდა რამდენიმე კაცი.

წინათ პურკომბინატი დიდ სიძნელეს განიცდიდა წყლით მომარაგების საქმეში. ეს იწვევდა ქარხნის მოცდენას, უხარისხო ნაწარმის გამოშვებას. წელს ქარხანაში დაიდგა წყლის აუზი, რომლის ტევადობა 40 კუბური მეტრია. ამან ხელი შეუწყო ქარხნის მუშაობის გაუმჯობესებას.

პურის ცხობის საქმეში სიახლეს, პროგრესული მეთოდების დანერგვით სისტემატურად ვზრდით საწარმოო მაჩვენებლებს. მაგალითად, ნახევარი წლის დავალება ქარხანამ 103,3 პროცენტით შეასრულა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოუშვა 1 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების მაჩვენებლებიც.

მიღწეულს არ დავჯერდებით. მომავალში კიდევ განვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა რუსთავის მშრომელებს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პურის ნაწარმი.

მ. მელიქიძე,
რუსთავის პურკომბინატის დირექტორი.

„წვრილმანებისადმი" უყურადღებობის გამო

სახალხო სასამართლო! რაოდენ დიდებულად ჟღერს ეს სიტყვები. მათში ჩაქსოვილია სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე უმწიკვლო მოღვაწეობით მოპოვებული სიყვარული და პატივისცემა.

თვით სხდომის დარბაზიც, სადაც სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, მოწიწებას უნდა იწვევდეს არა მარტო სამსჯავრო სხდომის მაღალი შინაარსით, არამედ გარეგნული სახითაც: კეთილმოწყობით, სისუფთავით, საუკეთესო გაფორმებით. ბევრგან ეს ასეც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდია თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლოში. სასამართლოს შენობაში შესვლისთანავე თვალში გეცემათ უსუფთაობა და უწესრიგობა. დერეფნები ჭუჭყიანია, იატაკი იმვიათად ირეცხება, კედლები ჩამონგრეული და შეუთეთრებელია, კარები — დასერილი და აჭრელებული. ასეთივე მდგომარეობაა სხდომის დარბაზში. გაშავებულ-გაჭუჭყიანებული კედლები და ჭერი დიდი ხანია რემონტს მოითხოვს. ცალფეხა და კიდეჩამონგრეულ მაგიდაზე ჭუჭყიანი ქსოვილია გადაფარებული.

დილის 10 საათიდან სასამართლოს დერეფნებში თავს იყრის მრავალი მთხოვნელი და სასამართლო პროცესზე გამომძახებული მოქალაქე. ისინი იძულებული ხდებიან 3-4 საათს ფეხზე იდგნენ, რადგან მოსაცდელსა და დერეფნებში სკამები არ არის.

გამომძახებულ მოქალაქეებს სასამართლო დილის 11 საათისათვის იწვევს, სამსჯავრო სხდომა კი თითქმის მუდამ 2-3 საათის დაგვიანებით იწყება და ლოდინში დიდი დრო იკარგება უმიზნოდ. გამომძახების უწყებები მოქალაქეებს ფოსტით ეგზავნებათ და ხშირად დაგვიანებით იღებენ. ამ მიზეზით მაძიებლის, მოპასუხის ან მოწმის გამოუცხადებლობის გამო ხშირია სამსჯავრო სხდომის გადადების შემთხვევებიც.

ეს „წვრილმანები" ადვილად მოსაგვარებელია, შეუწყნარებელ ყურადღებას რომ არ იჩენდნენ როგორც სახალხო სასამართლოში, ისე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში.

მ. ტრაპაიძე,
პენსიონერი.

გამყიდველები ფასებს ამახინჯებენ



მომარაგების მხრივ სამდურავი არ ეთქმის სოფელ ზანის (ცხაკაიას რაიონი) მაღაზიას; რა გინდათ, რომ აქ არ იშოვნოთ. მაღაზიაში მუდამ ბლომად არის სამრეწველო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მოსახლეობის უკმაყოფილებას მხოლოდ ის იწვევს, რომ ხშირია საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის შემთხვევები. ახლახან მაღაზიაში 85-პროცენტიანი პურის ფქვილი გაჰყიდეს. ადგილობრივმა მცხოვრებმა აკაკი შურღაიამ ერთი (ცალი (80 კილოგრამი) ასეთი ფქვილი შეიძინა. მას 222 მანეთის ნაცვლად 250 მანეთი გადაახდევინეს, ე. ი. 28 მანეთი წაჰგლეჯეს. ასევე ზედმეტი გადაახდევინეს არვილოდ და რუშა შურღაიებს.

აქ ხშირია აგრეთვე შაქრის, ნავთის და სხვა საქონლის ფასების დამახინჯება, მაგრამ ამ მანკიერების წინააღმდეგ ზომებს არავინ იღებს. როდემდის გაგრძელდება ზოგიერთი გამყიდველის თვითნებობა?

გ. შარტავა,
სოფლკორი.

ლაპირებას ბოლო არ უჩანს

სოფელი გალმა ვანი რაიონის ცენტრს 3 კილომეტრით არის დაშორებული. იგი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით დამშვენდა. ძველი ქოხმახები კრამიტით გადახურულმა ოდასახლებმა შეცვალეს. მაგრამ არის ერთი ნაკლი, რომელიც დაღს ასვამს ამ სოფლის ღირსებას: არა გვაქვს ელექტროშუქი, თუმცა ამ მიზნის განსახორციელებლად მოსახლეობამ ცოტა შრომა როდი დახარჯა.

სამი წლის წინათ მოვამზადეთ ბოძები მაღალი ძაბვის ხაზის გასაყვანად, ავაგეთ შენობა სატრანსფორმატორო კიოსკისათვის. სოფელში შიდა ქსელიც გავიყვანეთ. მაგრამ ყოველივე ამან საქმეს ვერ უშველა. შეუწყნარებლად ჭიანურდება „სულორჰესიდან" მაღალი ძაბვის დენის გადამცემი ხაზის გაყვანა და ტრანსფორმატორის შეძენა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. გიორგაძე და „სულორჰესის" დირექტორი ა. დიასამიძე დიდი ხანია ამ საქმის მოგვარებას გვპირდებიან, მაგრამ მათს დაპირებას ბოლო არ უჩანს.

ლევან დიასამიძე,
ვანის რაიონის სოფელ გალმა ვანის მცხოვრები.

საჭიროა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის დაარსება

დღითიდღე იზრდება რესპუბლიკის მრეწველობის მოთხოვნილება ქვანახშირზე. ცნობილია, რომ საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებისათვის ქვანახშირის ძირითადი მიმწოდებელნი ტყიბულის მახტრებია. მეიქვსე ხუთწლეულში აქ ქვანახშირის ამოღება დიდად უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია მაღალკვალიფიციურ ინჟინერთა კადრები. ასეთი კადრების მომზადება უმჯობესია იმ ადამიანებისაგან, რომლებიც უშუალოდ მახტრებში, ქვანახშირის სანგრევებში მუშაობენ. ჩვენ ამჟამად წარმოებისაგან მოუწყვეტლად ვსწავლობთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში. სანგრევიდან ამოსვლის შემდეგ ხშირად ტყიბულიდან ქუთაისში მივდივართ ლექციების მოსასმენად. მგზავრობაში დიდი დრო და ენერგია იხარჯება, რაც გავლენას ახდენს როგორც სწავლის ხარისხზე, ისე ჩვენს შრომის ნაყოფიერებაზე.

ამიტომ კარგი ხანია მომწიფდა საკითხი ტყიბულში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის დაარსების შესახებ.

ფილიალის დაარსების საჭიროება გამოწვეულია მეორე გარემოებითაც. ამჟამად უკვე დამტკიცებულია და სადავო აღარ არის ახალი სბადოს — შაორის ქვანახშირის სბადოს პერსპექტიულობა. აქ ახლო მომავალში გაიშლება მძლავრი შახტების მშენებლობა. ეს კი დიდძალ ბევრ სპეციალისტს მოითხოვს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის დაარსების შემთხვევაში მრავალ მეშახტის მიეცემა საშუალება ადგილობრივ, წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღოს უმაღლესი განათლება, შეისწავლოს სამთო მეცნიერება.

ტყიბულში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალის დაარსება მომწიფებული, ფრიად საჭირო საქმეა.

ი. ორჯონიკიძე,
სტალინის სახელობის შახტის მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი სბჭოს დეპუტატი,
გ. გაბრიელიძე,
ლენინის სახელობის შახტის მეხუთე უბნის ცვლის უფროსი.

რაგომ არ დგამენ ამწეს?

ორ წელზე მეტია მიღებულია რკინიგზის გორის სატვირთო სადგურის საკონტეინერო ბაქანზე დასადგმელად ამწის მოწყობილობა. მაგრამ მას დამონტაჟება არ ეღირსა. ამის გამო გორის სავაჭრო და სხვა ორგანიზაციების სახელზე კონტეინერებით გამოგზავნილი ტვირთის მიღება რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურში გვიხდება. ეს ორმაგ ხარჯებს იწვევს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ამ საქმის მოსაგვარებლად.

დ. ნინიაშვილი,
გორის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

თბილისის კონსერვატორიაში დაუსწრებელი ფაკულტეტის გახსნის შესახებ

ჩვენი გაზეთის მკითხველის, საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობის კ. ამაშუკელის წერილში, რომელიც „კომუნისტის" 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო, რომ ახალი სასწავლო წლიდან თბილისის კონსერვატორიაში მუშაობას დაიწყებს ახალი ღაუსწრებელი ფაკულტეტი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო განმარტავს, რომ თბილისის კონსერვატორიაში დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის გახსნის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი.

როდის გვექნება კლუბი?



მათხოჯი ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია წულუკიძის რაიონში. ამ სოფლის მოსახლეობა 700 კომლს აღწევს. მისი კოლმეურნეობა რაიონში მოწინავეა.

მით უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ასეთ დიდ სოფელს არა აქვს კლუბი, რის გამო კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები მოკლებული არიან თავისუფალ დროს დასვენების საშუალებას. აქ ნაკლებად ეწყობა ლექციები მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე, თითქმის სულ არ იმართება კონცერტები, მხოლოდ იშვიათად თუ გვაჩვენებენ კინოს, ისიც ღია ცის ქვეშ.

როგორც იქნა, რაიონის ხელმძღვანელობის მრავალი დაპირების შემდეგ, გასული წლის ზაფხულში სოფლის ახალგაზრდობის მონაწილეობით საფუძველი ჩაეყარა კლუბის მშენებლობას, მაგრამ დღემდე საფუძველი საფუძვლად დარჩა, კლუბის მშენებლობაზე კი არავინ ფიქრობს.

საინტერესოა, როდემდის უნდა ელოდონ მათხოჯელები კლუბს?

ე. ფიოლია,
ხოფელ მათხოჯის მცხოვრები.

კ. ე. ვოროშილოვი ბელგიაში

ბრიუსელი, 14 აგვისტო. (**საკ. კორესპონდენტი ჩეტვერიკოვი**). 13 აგვისტოს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და ბელგიის დედოფალი ელისაბედი დაესწრნენ სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტს, რომელიც კაზმულ ხელოვნებათა სასახლეში გაიმართა. კონცერტზე აგრეთვე იყვნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მ. დ. კოვრიგინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ვ. კაფტანოვი და სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი, აგრეთვე დედოფლის ამალა.

უზარმაზარი დარბაზი, რომელიც 2.000-ზე მეტ კაცს იტევს, გაჭედილი იყო, როცა კ. ე. ვოროშილოვი, დედოფალ ელისაბედი და მათი თანმხლები პირები შემოვიდნენ მეფის ლოჟაში, ყველა დამსწრე ფეხზე ამდგარი მიესალმა მათ. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ბელგიის ეროვნული ჰიმნები.

სსრ კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის კ. ივანოვის დირიჟორობით ბრწყინვალედ შეასრულა შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები: „სადღესასწაულო უვერტიურა“, მეთერთმეტე სიმფონია „1905 წელი“, აგრეთვე № 2 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (სოლოს ასრულებდა დ. პაპერნო). კონცერტმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. 10 წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა ოვაცია. ყოველი მხრიდან ისმოდა შეძახილები „ვაშა“.

შემდეგ კონცერტის ყველა დამსწრე, ტაშის გრიალით მობრუნდა ლოჟისაკენ, სადაც კ. ე. ვოროშილოვი და დედოფალ ელისაბედი იყვნენ. ისინი ადგნენ თავიანთი ადგილებიდან და თავის მხრივ ტაშით მიესალმნენ დარბაზს.

კონცერტის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვმა და დედოფალმა ელისაბედმა მიწვევის სპბჭოთა მუსიკოსები და მიულოცეს მათ დიდი წარმატება.

ბრიუსელი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს სასათბურო მეურნეობა ქალაქ უილარტში, 15 კილომეტრზე ბრიუსელიდან.

ქალაქის რატუშასთან საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ ქალაქის ბურგომისტრი ფონდერ ფარენი და მუნიციპალური საბჭოს წევრები. სტუმრები შეივიდნენ რატუშის დარბაზში, სადაც გაიმართა დარბაზობა. ბურგომისტრმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა კ. ე. ვოროშილოვს და განაცხადა, ბედნიერი ვარ მივიღო ჩვენს ქალაქში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული საპატიო სტუმარიო. მან რწმენა გამოთქვა, რომ კ. ე. ვოროშილოვის ვიზიტი ხელს შეუწყობს ბელგიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას. კ. ე. ვოროშილოვს დიდი კალათით ყურძენი მიართვეს.

კ. ე. ვოროშილოვმა საპასუხო სიტყვაში თქვა, რომ ბედნიერია ბელგიელ მიწის მუშებსა და მებაღეებს გადასცეს საბჭოთა კავშირის მიწის მუშათა და მებაღეთა სალამი. მოდით, ერთად ვიაროთ, თქვა კლიმენტ ეფრემის-ძემ, მშვიდობის, ძმობისა და ურთიერთდახმარების გზაზე.

ამხ. ვოროშილოვმა ხელი მოაწერა ქალაქის საპატიო სტუმართა „ოქროს წიგნში“ და შეედგა ბელგიელი მოქალაქის სხიმპის სათბურების დათვალიერებას, სადაც სხვადასხვა ჯიშის ყურძენი მოჰყავთ.

სასათბურო მეურნეობის დატოვების წინ კლიმენტ ეფრემის-ძემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს გულითადი მიღებისათვის.

კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირნი უფრო გვიან დაბრუნდნენ მსოფლიო გამოფენაზე, სადაც დაათვალიერეს ჰოლანდიის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის პავილიონები.

შარლერუა, 14 აგვისტო. (**საკ. სპეც. კორ. ი. ფეოდოროვი**). დღეს კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ავტომანქანებით გაემგზავრნენ ბელგიის მსხვილ სამრეწველო ცენტრ შარლერუაში. აქ ბელგიის კომპანია „ასეკის“ გამგეობის მიწვევით მათ დაათვალიერეს ელექტროტექნიკური მოწყობილობის დიდი ქარხანა, რომელიც ამ კომპანიას ეკუთვნის. კომპანიის გამგეობის სახელით საბჭოთა სტუმრები მიიღეს მთავარმა ადმინისტრატორმა დელენმა და ქარხნის დირექტორმა ლაომ.

კ. ე. ვოროშილოვმა ჩამოიარა ქარხნის საამქროები, დათვალიერა მოწყობილობა, ესაუბრა მუშებს, რომელნიც გულთბილად მიესალმნენ საპატიო საბჭოთა სტუმარს. კ. ე. ვოროშილოვმა მოკლე სიტყვით მიმართა მუშებს.

ვსარგებლობ რა, თქვა მან, ამ ქარხანაში ყოფნის ბედნიერი შემთხვევით, სიხარულით გადმოგცემთ თქვენ, ბელგიის მუშათა კლასის წარმომადგენლებს, ჩვენი ქვეყნის მუშათა უდიდეს და გულითად სალამს. ბედნიერებასა და დიდ წარმატებას გისურვებთ თქვენ და თქვენი ქვეყნის მთელ ხალხს.

ქარხნის საამქროთა დათვალიერების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირნი იყვნენ სადილზე, რომელიც მათ პატივსაცემად გამართეს შარლერუას ბურგომისტრმა პენკერსმა და კომპანია „ასეკის“ დირექციამ. ნასადილევს საბჭოთა სტუმრები ბრიუსელს წავიდნენ.

კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

ფხენიანი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). დღეს საღამოს თეატრ „მორანბონში“ გაიმართა ფხენიანის პრაზრომელთა საზეიმო კრება, მიძღვნილი საბჭოთა არმიის მიერ კორეელი ხალხის განთავისუფლების 13 წლისთავისადმი.

კრების პრეზიდიუმში არიან კორეის შრომის პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები კიმ ირ სენის მეთაურობით.

მოხსენება განთავისუფლების დღის შესახებ გააკეთა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ კიმ ირმა. კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი კორეელი ხალხის სახელით მან გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა არმიას.

აღნიშნა რა წარმატება რესპუბლიკის განვითარებაში, კიმ ირმა თქვა, რომ კორეის ჩრდილოეთ ნაწილში კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური ეკონომიკის ბაზა. ძირითადად დამთავრებულია სოფლის მეურნეობის კოოპერირება.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა მძიმე მდგომარეობაზე, რომელიც სამხრეთ კორეაში შეიქმნა ამერიკის ოკუპაციის შედეგად, რაც გრძელდება. კიმ ირმა აღნიშნა, რომ კორეელი ხალხი კვლავ მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკელმა ოკუპანტებმა ხელი აიღონ თავიანთ აგრესიულ გეგმებზე, დატოვონ სამხრეთ კორეა, შეაჩერებლობა მისცენ კორეის მოსახლეობას თავისი ძალებით გადაჭრას კორეის საკითხი. არ არის არავითარი საფუძველი, რომ ამერიკის აგრესიული ძალები კვლავ დარჩნენ კორეის ტერიტორიაზე.

კიმ ირმა განაცხადა, რომ ჩინელმა სახალხო მოხალისეებმა, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მიიღეს გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ბოლომდე ჩრდილოეთ კორეიდან სრული ევაკუაციის შესახებ, უკვე დაამთავრეს ევაკუაციის მეორე ეტაპი.

ბრძოლა სამშობლოს გაერთიანებისათვის, თქვა კიმ ირმა, ადვილი საქმე რომია. მაგრამ გამარჯვება კორეელი ხალხის მხარეზე იქნება, ჩვენ გვყავს გმირი ხალხი, რომელიც გამობრძმედილია რევოლუციურ ბრძოლაში, გვყავს კორეის შრომის პარტიის სწორი ხელმძღვანელობა, პარტიისა, რომელიც ხელმძღვანელობს ყოვლისმძლე მარქსიზმ-ლენინიზმით, ჩვენ გვაქვს დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ბანაკის დიდი ოჯახის ძმური ურთიერთდახმარება და მონოლითურად შეკავშირებული საერთაშორისო კომუნისტური მუშათა მოძრაობის ძლიერება.

დაამთავრა რა თავისი გამოსვლა, კიმ ირმა თქვა, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს კორეელი ხალხის მტკიცე წინსვლა, რომელიც აღდგა სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისა და რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში სოციალიზმის აშენების დაჩქარებისათვის საბრძოლველად.

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. პელეშენკო.

გარდაიცვალა ჟოლიო-კიური

პარიზი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). დღეს პარიზში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 58 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფესორი ფრედერიკ ჟოლიო-კიური, გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარე, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ასოციაციის „საფრანგეთი — სსრ კავშირი“ საპატიო თავმჯდომარე.

ინგლისი ამზადებს აჯომგულის გამოცდების ახალ სერიას

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კანბერიდან აუწყებს, ინგლისი ემზადება სამხრეთ-ავსტრალიაში მარალინგის პოლიგონზე ატომის გამოცდის ახალი სერიისათვის.

ინგლისის მომარაგების მინისტრმა ჯონსმა ავსტრალიის მინისტრებს განუცხადა, რომ ინგლისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მარალინგის საცდელ პოლიგონს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის სხდომა დაიწყო დღეს 17 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით. პირველი სიტყვა მიეცა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს სელვინ ლოიდს.

ლოიდმა სცადა გაემართლებინა ამერიკის ჯარების ლიბანში და ინგლისის ჯარების იორდანიაში შეიარაღებული შეჭრა იმის დამოწმებით, თითქოს ეს მოქმედება განხორციელებულ იქნა ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით.

ლოიდმა შეიტანა წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნას ლიბანსა და იორდანიაში ისეთი პირობები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს საშუალებას მისცემენ გაიყვანონ თავიანთი ჯარები ამ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა.

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკ. ფილ.). 14 აგვისტოს დღის სხდომაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაური საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, მან ენერგიულად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან. დავიდმა იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესია გამონახავს გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობისა და უშიშროებას ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ვ. დავიდმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან.

ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფ. ეიკენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მდგომარეობა შუა აღმოსავლეთში შეიცავს სერიოზულ საფრთხეს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. მაგრამ, მისი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების გაყვანა ლიბანიდან და იორდანიიდან თითქოს ამ საფრთხეს ვერ აიცილებს მშვიდობას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიბანისა და იორდანიის ხალხებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თავისუფლად და გარეგან რაიმე ზეგავლენის მოუხდენლად განსაზღვრონ თავიანთი მომავალი. მან განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს დაუჭერს რეზოლუციას, რომელიც ამ ქვეყნებისათვის უზრუნველყოფს ასეთ შესაძლებლობას და რომელიც ითვალისწინებს ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანას.

ავსტრალიის წარმომადგენელი უოკერი, რომელიც ჩვეულებრივად გამოდის როგორც კოლონიურ სახელმწიფოთა მთავარი ადვოკატი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიას ლიბანსა და იორდანიაში.

სხდომაზე აგრეთვე გამოვიდა იორდანიის დელეგატი რიფაი. იორდანიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ტუკანი გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის დაწყების წინ გადადგა, ამასთან განაცხადა, რომ არ ეთანხმება მეფე ჰუსეინის პოლიტიკას. ამიტომ ლონდონიდან ნიუ-იორკში სასწრაფოდ ჩაიყვანეს იორდანიის ელჩი ინგლისში რიფაი, და სწორედ ის გამოვიდა და ცილი დასწამა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. იგი სავსებით დაეთანხმა ინგლისის დელეგატს, აზრი გამოთქვა იორდანიიდან ინგლისის ჯარების გაყვანის წინააღმდეგ და ამით ცხადყო, ვის და რა მიზნით დასჭირდა მისი ცილისმწამებლური გამოსვლა.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლუტფიმ. რომელმაც მოკლე პასუხი გასცა იორდანიის დელეგატს, ამხილა მისი ცილისმწამებლური ჩმახვა.

მთელი ეს ბრალდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, თქვა მან, რიფაის მხოლოდ იმიტომ დასჭირდა, რომ რამენაირად გაამართლოს ის, რომ ინგლისის ჯარებმა ოკუპაცია უყვეს იორდანიას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კვლავ მოითხოვა ინგლისის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა იორდანიიდან, ამასთან განაცხადა, რომ სანამ იორდანია ოკუპირებული ექნებათ ინგლისის ჯარებს, მისი ქვეყანა ვერ მიჩნევს თავს უშიშრად. იორდანიაში ინგლისის ჯარების ყოფნა საფრთხეს უქმნის არა მარტო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობასაც, ხაზგასმით აღნიშნა ლუტფიმ.

ა. ა. გრომიკო შეხვდა მ. ფავზის

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკ. ფილ.). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ფავზი და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარი შეეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხებს.

ჩანკაიშელმა ჰაერის მეკობრეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს

პეკინი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ დღეს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს ჩანკაიშელთა ამერიკული წარმოების ორი თვითმფრინავი და ერთი დააზიანეს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩინეთის კონტინენტის საჰაერო სივრცეში.

10 საათსა და 21 წუთზე ჩანკაიშელთა ამერიკული წარმოების 26 თვითმფრინავი ორ ჯგუფად შემოიჭრა ფუქიანის პროვინციის ზღვისპირა რაიონის საჰაერო სივრცეში. ეს იყო ყველაზე დიდი საჰაერო პროვოკაცია, რომელიც ჩანკაიშელთა ხროვამ უკანასკნელ დროს ამერიკელ იმპერიალისტთა მითითებით მოაწყო, რათა დაძაბული მდგომარეობა შეექმნათ ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღვისპირა რაიონებში. საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩანკაიშელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და ერთი დააზიანეს. ჩანკაიშელთა დანარჩენი თვითმფრინავები სასწრაფოდ მიიმალნენ ტაივანის მიმართულებით.

საგჭოთა კავშირის გაღეტის მსახიობთა გამოსვლა არგენტინაში

ბუენოს აირესი, 14 აგვისტო. (საკ. ფილ.). გუშინ თეატრ „ოპერაში“ გაიმართა თბილისის ზ. კ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ჯგუფის მორიგი კონცერტი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის მხატვრული ხელმძღვანელობით. კონცერტმა, ისევე როგორც წინა გამოსვლებმა, დიდი წარმატებით ჩაიარა.

არგენტინის პრესა აქვეყნებს დადებითს გამოხმაურებას კონცერტების შესახებ, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა მსახიობების მაღალ ოსტატობას.

ჩინელი ენერგეტიკოსები საქართველოში

თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს რამდენიმე წელიწადია ურთიერთობა აქვს პეკინის ჰიდროტექნიკის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან. ჩინელი და ქართველი მეცნიერები სისტემატურად უგზავნიან ერთმანეთს მეცნიერულ შრომებს, აწვდიან ცნობას უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა შესახებ.

ამ დღეებში თბილისში იყვნენ ტიანძინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყლის ენერგეტიკის გამოყენების კათედრის გამგე პროფესორი შუ იან-ჩი და ქალაქ დალნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრის გამგე ჯაო ცეო-იანი.

ქართველმა მეცნიერებმა ხალისით გაუზიარეს ჩინელ მეგობრებს გამოცდილება, გააცნეს მეცნიერულ-ექსპერიმენტული ნაშრომები ჰიდრავლიკის, ჰიდროტექნიკის, ჰიდროტექნიკური გვირაბების, ბეტონის ტექნოლოგიის დარგში. ჰიდროტექნიკურ და ჰიდრავლიკურ ლაბორატორიებში სტუმრები დეტალურად გაეცნენ ინსტიტუტის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს.

თბილისში სამი დღის ყოფნის შემდეგ ჩინელი მეცნიერები მოსკოვს გაემგზავრნენ. (საქ. ფილ.).

ზემო სვანეთი. ტბა უღვირის გადასავალზე.

ფოტო ნ. კეცბოველისა.

საერთაშორისო კინოფესტივალი ტაშკენტში

როგორც „ლიტერატურნაია გაზეტა“ იუწყება, 20 აგვისტოს ტაშკენტში გაიხსნება აზიისა და აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო კინოფესტივალი. საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევა კინოფესტივალში მონაწილეობისათვის გაეგზავნა 33 ქვეყანას. უკვე მიღებულია 21 ქვეყნის თანხმობა.

ამ დღეებში ტაშკენტში რ. გულამოვის თავმჯდომარეობით შედგა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა. ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით ინფორმაციებით გამოვიდნენ ხ. აზიმოვი და ვ. სურინი.

პრემიერები ნაჩვენები იქნება კინოთეატრ „სამშობლოში“ და 1600-ადგილიან ფართოეკრანიან საზაფხულო კინოთეატრში. დელეგაციათა თანხმობით ფესტივალზე ნაჩვენები ყველა ფილმი შემდეგ დემონსტრირებული იქნება ტაშკენტის სხვა კინოთეატრებში, უზბეკეთის საოლქო და სამრეწველო ცენტრებში. კინოთეატრების ფოიეებში მოეწყობა ფესტივალში მონაწილე ქვეყნების გამოფენები. პარკებში, ბაღებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში გაიმართება სპეციალური საღამოები. ფესტივალის მონაწილენი შეხვდებიან რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, შემოქმედებითს ინტელიგენციას, გაეცნობიან უზბეკეთის ხელოვნებისა და კულტურის მიღწევებს. ფესტივალის მონაწილეთათვის და სტუმრებისათვის გამოიცემა მეგზურები, მზადდება სხვადასხვა სუვენირები.

ხაბჭოთა რესპუბლიკები ფესტივალზე წარმოადგენენ შემდეგ ფილმებს: „ლენინის საგზურთი“ (უზბეკეთის სსრ), „მაღალი თანამდებობა“ (ტაჯიკეთის სსრ), „სხვისი შვილები“ (საქართველოს სსრ), „შორეულ ნანაპირებზე“ (აზერბაიჯანის სსრ), „პირადად ცნობილია“ (სომხეთის სსრ), „ოჯახის ღირსება“ (თურქმენეთის სსრ), და სხვ. უკვე დაწყებულია კინოსურათების მიღება საზღვარგარეთიდან. ტაშკენტში მთარგმნელებისა და ლიბრეტისტებისათვის ნაჩვენები იქნება ტაილანდური ფილმი „ძმები“.

ზესტაფონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შორეული გასტროლები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზესტაფონის საიაიონო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. სებუა ხელმძღვანელობს, საგასტროლოდ გაემგზავრა ესტონეთისა და ლატვიის სს რესპუბლიკების ქალაქებში.

ანსამბლი გულმოდგინედ მოემზადა ამ მეტად სერიოზული გასტროლებისათვის. იგი ესტონელ და ლატვიელ მეგობრებთან შეასრულებს ისეთ პოპულარულ სიმღერებსა და ცეკვებს, როგორიც არის „სულიკო“, „სამშობლო და გამარჯვება“, „სიმღერა პატრიაზე“, „ბროლის ყელსა“, „ფერხული“, „ოსური“, „სვანური“, „მთიულური“ და სხვა.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 75 კაცისაგან შედგება, მის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მუშები, კოლმეურნეები და მოსწავლეები.

ზესტაფონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ბალტიისპირა ქვეყნებში ორ კვირას დარჩება.

სპორტის ამბები

მოსწავლეთა v სპარტაკიადა

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული თამაშის წინასწარი შეხვედრები ძირითადად ამოიწურა, ქვეჯგუფებში გამოვლინდნენ კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, წყალბურთელთა და ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივები, რომლებიც გაითამაშებენ ფინალს.

განსაკუთრებით მძაფრი და მიმზიდველი იყო წინასწარი შეხვედრების უკანასკნელი დღის მატჩები. მაგალითად, რსფსრ-ისა და უკრაინის კალათბურთელ გოგონათა გუნდების შეხვედრაში გამარჯვებული მხოლოდ დამატებით დროში გამოვლინდა. რსფსრ კალათბურთელებმა მოიგეს შეჯიბრება 52:49.

კვლავ წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკი კალათბურთელები. მათი თამაში გამოირჩევა მაღალტექნიკური და შეუპოვარი ბრძოლით. უკანასკნელი შეჯიბრება ქვეჯგუფებში საქართველოს გუნდმა ჩაატარა „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 72:45. ამრიგად, საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა კოლექტივი ფინალში გავიდა. ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ესტონეთის, უკრაინის, „შრომითი რეზერვების“, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ლატვიისა და ლიტვის გუნდები.

წყალბურთელებმა ქვეჯგუფებში შეხვედრები დაამთავრეს. ფინალში პირველი 8 ადგილისათვის ერთმანეთს შეეცილებიან „შრომითი რეზერვების“, ლენინგრადის, რსფსრ, აზერბაიჯანის, უკრაინის, საქართველოს, მოსკოვისა და სომხეთის გუნდები. ფინალური მატჩები 16 აგვისტოს დაიწყება.

ქვეჯგუფებში შეხვედრები დამთავრეს აგრეთვე ფრენბურთელებმა და ფეხბურთელებმა. საქართველოს გუნდები მონაწილეობას მიიღებენ დასკვნით შეჯიბრებაში. წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელები. ჭაბუკები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ესტონეთის გუნდს.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი

აგვისტოს სპორტული შეხვედრებიდან საერთო ყურადღებას იპყრობს მსოფლიო პირველობის გათამაშება ტყვიისა და სასტენდო სროლაში. ეს დიდი ასპარეზობა გაიმართება მოსკოვში სასპორტო საზოგადოებების „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ სასროლეთზე და ტირში.

დედაქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ამ სპორტული შეჯიბრების სანიმუშოდ მოწყობისათვის ბევრი რამ გააკეთეს. შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს 30-მდე ქვეყნის 700-ზე მეტი მსროლელი. სროლაში ვაყეთანთ ერთად ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან ქალები და ჭაბუკები. საბჭოთა გუნდი დაკომპლექტებულია 53 სპორტსმენით, რომელთა რიგებში არიან სპორტის ოსტატები, ახალგაზრდა ნიჭიერი მსროლელები.

სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვი. 15 აგვისტო.

დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 3 : 2.

გუშინ კუიბიშევში გაიმართა სსრ კავშირის XX ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით 3 : 0.

რედაქტორი პ. რატიანი.

მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას მე-5, მე-10 კლასებში რუსულ და ქართულ სექტორებზე.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16 და მეტი წლის ასაკისა, რომლებსაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

დაუსწრებელი საშუალო სკოლა სარგებლობს მასობრივი სკოლის ყველა უფლებებით.

განცხადებები მიიღება 1958 წლის 25 აგვისტომდე. მიცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს და იწარმოებს კვირაში 3 დღეს. სკოლაში შემოსვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება, დაბადების მოწმობა, ცნობები განათლებისა და მუშაობის შესახებ და 3 ფოტოსურათი.

ის პირნი, რომლებსაც არა აქვთ საბუთები განათლების შესახებ, აბარებენ გამოცდებს ზოგ საგანში და ჩაირიცხებიან შესაფერ კლასებში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 30 აგვისტომდე. სკოლის საკონსულტაციო პუნქტებია გარდაბანში, თბილისში, საბურთალოზე დოლიძის ქ. № 1, 61-ე საშუალო სკოლის შენობაში. საბუთების ადგილზე იღებენ პუნქტების გამგეები. რაიონში მცხოვრები ერთეული დაუსწრებლები შეიძლება მიმაგრებულ იქნან საკონსულტაციოდ ადგილობრივ სკოლებზე დაუსწრებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე სკოლის კანცელარიაში (ქ. თბილისი. პლეხანოვის პროსპ. № 155, ტელეფ. 3-13-46, ოდამიოთხე საშუალო სკოლის შენობაში).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსები აცხადებს მიღებას 1958-1959 სასწავლო წლისათვის **მანქანაზე წერისა და სტენოგრაფიის განყოფილებაზე.**

კურსებზე მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი.

კურსებზე ორი სექტორია — ქართული და რუსული.

ორივე განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

კურსებზე შემსვლელი პირები გამოცდებს აბარებენ მხოლოდ მშობლიურ ენაში (წერა და ზეპირი).

მანქანაზე წერის განყოფილებაზე სწავლების ვადა ერთი წელია, სტენოგრაფიის განყოფილებაზე კი სამი წელი.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები — 26 აგვისტოდან 30 აგვისტომდე.

კურსებზე შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

კურსების მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 57, ტელ. № 3-39-40, განცხადება მიიღება ყოველდღე 10-დან 3 საათამდე.

დღეს

ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — მუდამ სატრფოსთან (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, დასაწყ. 8 ს. 30 წ.).

კინოთეატრებში

ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — საქმე ჯერ არ დამთავრებულა, ამირანი (საზამთრო), სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი (საზაფხულო), კომუნარების ბაღი — როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, ფილარმონიის ბაღი, კოლხიდა (საზაფხულო) — მხიარული ახალგაზრდობა, თბილისი, კოლხიდა (საზამთრო), დიდუბე (საზამთრო), ვაკის პარკი — მისტერ იქსი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — მაქსიმე პერეპელიცა, საქართველო (მეწყვენა დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი — ძალად მძღოლი, ისანი (საზაფხულო)—ცეცხლოვანი ვერსები, კოლმეურნე — სისხლიანი გზა, დიდუბე (საზაფხულო) — ივანე მრისხანე, ყაზბეგი — მე შევხვდი ქალიშვილს, გორკის სახელობის ცენტრალური კულტურის სახლი (საზამთრო) — კაროლ ლამბერტი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპ